საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 174^{16} მუხლი:

„მუხლი 174^{16}. საქართველოს კანონით „თავისუფლების ქარტია“ გათვალისწინებული წესების დარღვევა

1. საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის მითითების შეუსრულებლობა მის მიერვე დადგენილ ვადაში ან არაჯეროვნად შესრულება –

გამოიწვევს უფლებამოსილი პირის გაფრთხილებას.

2. დადგენილი წესით მიცემული გაფრთხილების პირობების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება –

გამოიწვევს უფლებამოსილი პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.“.

2. 209-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შინაგან საქმეთა ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 58^3, 107^1–107^3, 108-ე, 114^1, 114^2, 116-ე, 118-ე–119-ე, 120-ე–123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127^1 მუხლის პირველი, 1^1, მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 128-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 129^1 მუხლით, 131-ე მუხლით (საავტომობილო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის), 134-ე მუხლით, 153^6 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 155-ე და 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 172-ე მუხლით, 174^{15} მუხლით (გარდა მე-4 ნაწილისა), 174^{16} და 176^1 მუხლებით, 181^1 მუხლის პირველი ნაწილით, 182^1, 182^2, 190-ე და 190^2 მუხლებით და 191-ე მუხლის პირველი და 1^1 ნაწილებით (მათ შორის, სასაზღვრო გამტარ პუნქტზე გამოვლენისას).“.

3. 239-ე მუხლის მე-13 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. ამ კოდექსის 45-ე, 58^3, 81-ე, 107-ე, 114^1, 114^2, 116-ე, 118-ე–123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127^1 მუხლის პირველი, 1^1, მე-2, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 134-ე, 150-ე და 153^3 მუხლებით, 153^6 მუხლის მე-2 ნაწილით, 166-ე, 173-ე, 174^1, 174^{15}, 174^{16}, 175^2, 176^1, 177^1, 180-ე–183-ე, 190-ე და 190^2 მუხლებით გათვალისწსინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 166-ე და 197^2 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2014 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

25 დეკემბერი 2013 წ.

N1868-რს